პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №_ _

2022 წლის _ _ ივნისი

ქ. წყალტუბო

შპს ,,სანატორიუმ წყალტუბოსათვის'' პირდაპირი განკარგვის წესით,სარგებლობის უფლებით, იჯარით , 10 (ათი) წლის ვადით ა(ა)იპ ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებისათვის ''უზუფრუქტით გადაცემული 7094.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკ.კოდი N29.08.34.018) ნაწილის- 3673.23 კვ.მ. ფართის გადაცემის შესახებ,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 21 ივნისის (№48-482217251) წერილი , რომელშიც შპს ,,სანატორიუმ წყალტუბოს'' დირექტორის განცხადების საფუძველზე, ითხოვს თანხმობას,მითითებულ შპს-ს დასასვენებელი პარკის მოწყობის მიზნით (მოეწყობა ტერიტორია, დაიდგმება საჩრდილობელი ქოლგები, გრძელი სკამები, ბავშვთა კუთხე, განხორციელდება ადრე არსებული აუზის რეაბილიტაცია, იმოძრავებს გადასაადგილებელი სანაყინეები და დიზაინის შესაბამისი სხვა ობიექტები), პირდაპირი განკარგვის წესით,სარგებლობის უფლებით, იჯარით, 10 (ათი) წლის ვადით გადასცეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებისათვის'' უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემული, 7094.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკ.კოდი N29.08.34.018) ნაწილი - 3673.23 კვ.მ. ფართი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1.მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს, შპს ,,სანატორიუმ წყალტუბოს'' პირდაპირი განკარგვის წესით,სარგებლობის უფლებით, იჯარით, 10 (ათი) წლის ვადით გადაეცეს ა(ა)იპ ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებისათვის ''უზუფრუქტით გადაცემული 7094.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკ.კოდი N29.08.34.018) ნაწილი - 3673.23 კვ.მ. ფართი.

2.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას .

3.განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მომზადებულია :

მესამე რანგის უფროსი სპეციალისტი — მარიამ კუჭავა

შეთანხმებულია :

აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

ეკონოსიკისა და ქონების მართვის საკითხთა

კომისიის თავმჯდომარე — რევაზ დიდავა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ გენადი ბალანჩივაძეს
შპს ,,სანატორიუმ წყალტუბოს'' დირექტორის
ვახტანგ კეკუას

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო გენადი,

ვაზუსტებთ შპს ,,სანატორიუმ წყალტუბოს'' დირექტორის ვახტანგ კეკუას 2022 წლის 01 ივნისის განცხადებას და გაცნობებთ, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N29.08.34.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გარკვეული ნაწილის იჯარის უფლებით გადმოცემის შემთხვევაში ის შეიძენს კულტურისა და დასვენების პარკის ფუნქციას, კერძოდ: მოეწყობა ტერიტორია, დაიდგმება საჩრდილობელი ქოლგები და გრძელი სკამები, მოეწყობა ბავშვთა კუთხე, განხორციელდება ადრე არსებული აუზის რეაბილიტაცია, იმოძრავებს გადასაადგილებელი სანაყინეები და დიზაინის შესაბამისი სხვა ობიექტები. ასევე, გათვალისწინებულია ტერიტორიის მიმდებარედ არსებული მგზავრთა მოსაცდელის კეთილმოწყობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ პირდაპირი განკარგვის წესით, 10 (ათი) წლის ვადით, იჯარის უფლებით გადმოგვცეთ, N29.08.34.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილი წარმოდგენილი ნახაზის შესაბამისად.

პატივისცემით,

/ვახტანგ კეკუა/.
02.06.2022 წელი.
ტელ: 577 44 82 42.